საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მინდვრის სოკო

მინდვრის სოკო (Clitocybe nebularis), ქუდიანი სოკო ტრიქოლომასებრთა ოჯახისა. ქუდის დიამეტრი 5–15 *სმ* აღწევს, ნახევარსფეროსებრია, სქელრბილობიანი, ღია ან მუქი ნაცრისფერი. თავდაპირველად მშრალი ფიფქოვანი ზედაპირი აქვს, შემდეგ კი – შიშველი. მოთეთრო ფირფიტები შეზრდილია ან ფეხის მიმართ ოდნავ დაღმავალი. აქვს თეთრი ფეხი, რ-იც ძირში ბოლქვივითაა გამსხვილებული. ზაფხულში და შემოდგომით იზრდება ტყის მდელოებზე, მინდვრებსა და საძოვრებზე. საკვებად ვარგისია ახალდაკრეფილი.

ი. ნახუცრიშვილი